შორენა წიგნაძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თელავი, საქართველო
shorena.Tsignadze@tesau.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.61

სოციალური მედიის ფსიქო-სოციალური და ლინგვისტური მახასიათებლები

საკვანძო სიტყვები: სოციალური ქსელები, ემოცია, მორფოლოგია, სინტაქსი, მხატვრული ხერხები.

დღეს ლინგვისტური კვლევები აღარ შემოიფარგლება მხოლოდ ენის სტრუქტურის ან ისტორიის შესწავლით. მისი ინტერ-დისციპლინარული კვლევა, როგორიცაა ენათმეცნიერება და ფსიქოლოგია, სოციალური მეცნიერებები, ტექნოლოგიები და კულტურათმცოდნეობა, სხვადასხვა მეცნიერების დარგების კომბინირება, გულისხმობს ენის, როგორც ფსიქოლოგიური, სოციალური და კულტურული ფენომენის გამოკვეთას. ენის შესწავლით ფსიქოლოგია იკვლევს, როგორ ავითარებენ ადამიანები აზროვნების და კომუნიკაციის უნარებს, რა გავლენას ახდენს ეს მათ ემოციურ და სოციალურ მდგომარეობაზე. ენის საშუალებით ინდივიდს აქვს შესაძლებლობა გადმოსცეს სხვადასხვა ემოცია, რომელიც ეხმარება მას შინაგანი მდგომარეობის უკეთ გამოხატვაში.

სოციალურ ქსელებზე დაკვირვება გვაძლევს ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული და ლინგვისტური ასპექტების ანალიზის შესაძლებლობას.

ჩვენი ინტერესიდან გამომდინარე ძირითადად დავაკვირდით Facebook-სა და TikTok-ში გამოქვეყნებულ ტექსტურ შეტყობინებებს. კომენტარები, რომელიც დაფუძნებულია ამ ორი სოციალური ქსელის მონაცემებზე, ბუნებრივია, არ იძლევა ანალიზის სრულ სურათს, ვინაიდან ისინი ასახავენ მომხმარებელთა მხოლოდ გარკვეული ნაწილის მოსაზრებებსა თუ წარმოდგენებს. კომენტარებში არსებული ტექსტების ანალიზის შედეგად შევძელით ინფორმაციის გადამუშავება, რათა უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონოდა სოციალური ტენდენციების, საზოგადოებაში არსებული ემოციებისა და დამოკიდებულების შესახებ.

ჩვენ მიერ მოძიებული მგალითები შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად: სოციალური ტენდენციები და იდეოლოგიის გამოხატვა, კომენტარებში გამოვლენილი ემოციები, მოტივაცია, გავლენა თვითშეფასებასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ონლაინ აგრესია და კიბერბულინგი.

გლობალურ ქსელებში ხშირად განსხვავებული სოციალური წრის, ასაკის, ფსიქოლოგიის მქონე პიროვნებები ურთიერთობენ და ცდილობენ აზრების, ღირებულებების ფორმირებას. ენა არ არის მხოლოდ საკომუნიკაციო საშუალება, ის გავლენას ახდენს სუბიექტის ფსიქოლოგიაზე, აზროვნებასა თუ სოციალურ

ურთიერთობაზე. მისი გავლენა მრავალმხრივია და ზოგჯერ საკმაოდ წინააღმდეგობრივი.

შევეცადეთ განგვესაზღვრა, როგორი ტიპის ტექსტები ჭარბობს: პოზიტიური, ნეგატიური თუ ნეიტრალური. შეძლებისდაგვარად წარმოვადგინეთ საზოგადოების დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი, რამაც გამოიწვია მათი რეაქციები: გაღიძიანება, სიხარული, მწუხარება, დარდი და ა.შ.

მოგეხსენებათ, ეს ორი სოცქსელი სხვადასხვა პლატფორმაა, სადაც განსხვავებულია კომუნიკაციის სტილიც. ორივე ქსელი ქმნის გამოხატვისა და პასუხის კულტურას, თითოეულ მათგანში გამოხატული დიდი რაოდენობით მოწონება ან გამოხმაურება დადებით აისახება პიროვნებაზე.

TikTok-ი, რომელიც ძირითადად განკუთვნილია მოკლე ვიდეოებისათვის, უმეტესწილად ახალგაზრდების პლატფორმაა, რომელთა შორის ხშირია ემოციური და გაუაზრებელი გამოხატვის დემონსტრირება, აგრესია, სიტყვიერი კონფლიქტები, რეაგირება კრიტიკაზე ან სარკაზმზე, რომელიც უმეტესად ვლინდება სექსუალური ორიენტაციის ან პოლიტიკის დროს.

Facebook-ი უფრო სერიოზული ქსელია, რომელიც მოიცავს დიდი ხნის ურთიერთობებს როგორც პროფესიულ, ასევე მეგობრულ ჯგუფებს. ეს პლატფორმა შედარებით დახურულია. თუმცა აქაც ხშირია პოლიტიკური დისკუსიები და განწყობის გამოხატვა. გმოთქვამენ მოსაზრებებს პოლიტიკური პიროვნებების, პარტიების, სახელმწიფო პოლიტიკის, ეკონომიკური ან სოციალური საკითხების შესახებ. აქაც ვხვდებით აგრესიის გამოვლენას, განსაკუთრებით თუ საკითხი ეხება არჩევნებს, პოლიტიკურ თუ სოციალურ სამართლიანობას.

კომენტარები ასახავს სოციალურ ურთიერთობებს და გამოხატავს ადრესატის მიმართ გადმოცემულ მრავალგვარ გრძნობა-ემოციას: მოწონებას, აღტაცებას, პატივისცემას, დანანებას, სიყვარულს, მოწონებას, ზიზღს, ირონიას, დაცინვა-დამცირებას.

უარყოფითი ემოცია ძირიადად ვლინდება ირონიით, გაბრაზებით, გინებით, წყევლით, სევდით: „5 ანგელოზი მიწას მიაბარეს და შენ რა გამღერებს შენ შემოგიარე ზალაში“; „რამ გაამწარა ეს სულგანათლებული!“ „მარტო ყოფნა ვისაც აბედნიერებს მთელი ცხოვრება მარტო ებედნიეროს“; „ დიდი უვარგისი ქალი ხარროგორც დედამისია გამწარებული ასე გამწარებული გევლოს შენი სიცოცხლე“; „გაგიჩერდეთ ეგ ისედაც გაყინული ტვინი და განწყობის გული”...

დადებითი ემოცია, შემფასებლური ფუნქციით, გადმოცემულია შექებით, სიყვარულით, ალერსით, დალოცვითა და იუმორით: „არიქა, გაფუვდა ცომი, გადმოდის ჩაზილეთ (მსუქან ბავშვზე“); „ამაზე ნაკლბი წონისა ვიყავი სკოლაში რომ შევედი“; „რა საყვარელი და ფუფალა ხარ გაეზარდე ჯანმრთელი და ბედნიერი“; „შენ გენაცვალე გულში, რა კარგი ხარ ჯვარი გწერია“; „ღმერთმა გაგიზარდოთ რა საყვარელია სიყვარულის ბუშტი“;„ ვიყიდე ძეხვი და საპონი, ძეხვის ეტიკეტზე წერია რომ შედგება სოიოსაგან, ემულგატორებისაგან, საღებავებისაგან... საპონს შემადგენლობაში უწერია თაფლი, ლაქტოზა, ვარდის ფურცელი... ეხლა ვფიქრობ რომელი შევჭამო“... „ყველა მეუბნება ალკოჰოლი შენი მტერიაო, უაფალი კი გვეუბნება შეიყვარე მტერი შენიო, ფოდა მე უფლის მწამს; კომენტარების ნაწილი ემოციურ-ექსპრესიული ლექსიკის შემცველია

და უმეტესად ვლინდება ბავშვებთან მიმართებით, დაბადების დღის, სასიამოვნო სიახლის ან რაიმე წარმატების მილოცვის დროს.

ამ ეტაპზე, შეგვიძლია ვთქვათ, ჭარბად გვხვდება ირონიისა და გაბრაზების გამომხატველი ლექსიკური ერთეულები. უარყოფითი შეფასებისას აქცენტი გადატანილია ადრესატის ფიზიკურ, სულიერ, მენტალურ ნიშან-თვისებასა და გონებრივ შესაძლებლობაზე: „ამ კაცს წარბები ნიკოფსიიდან დარუბანდამდე რატო აქ გადაჭიმული“; „ბანდაჟი მაინც გადაიკარი მაგ ბოჭკასავით მუცელზე არ შემოგერღვას გლამურული ჯემპრე“; „ისეთი შარვალი აცვია ვერ გაიგებ მიდის თუ მოდის“; „სულ სინსილა გაწყდეს კაცების შენნაირ გამოთაყვანებულს ვინ შეხედავს“; „რას მღერის ეს დაცენტრილი“; „რა ამღერებს ამ ტყის დათვს“ და ა.შ.

ხშირია ზოონიმების გამოყენების შემთვევები როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური ფუნქციით. თუმცა ზოონიმები, როგორიცაა: ძუკნა, ღორი, ვირი, ზაქი, სპილო, ბეჰემოტი, ნიანგი, გველი, ჯოგი, გომბეშო - უმეტესად უარყოფითი შეფერილობისაა, ხოლო - ბაჭია, ჩიტი, გოჭუნია, დათუჩა, შველი დადებითი: ,,არიან ადამიანები რომელთაც ბევრი ფული ხელს არ უშლით რომ ვირებად დარჩნენ“„ ფულზე გაყიდული ტურა“; „ჯამბაზთა ჯოგი”; „ამ გაბერილ ღორს ვინ ეკითხება ვინ რას იმღერებს“; „რატომ არ დაძუყნეთ ეგ ღორის ნაშიერი, ეს ბელთაყვა ვის დაესხა! საქონელი“; „ასეთი ვარსკვლავები რომ გვყავს, სილამაზის კონკურსზე ნიანგებს რატომ უშვებენ?“ „ღმერთმა ჯანმრთელები გაგიზარდოთ ეს ორი დათვის ბელი, ჯიმა“...

დადებითი ელფერის დროს ერთ-ერთ კომპონენტს ძირითადად წარმოადგენს მზე, ფერია, მზეთუნახავი, პრინცესა, ოქრო, ფლორის აღმნიშვნელი სახელები - ყავავილი, ია, ვარდი .... გვხვდება კნინობით-ალერსობითი აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები: „ბედნიერი დედა იყავი მუდამ ჩემო ვერიკუნა“; „შენ გენაცვალე, ფუმფულიკო“; „ლამაზუნა ხარ!“ „ოქროს ადამიანი ხარ შენ გიორგი გენაცვალე ძმაო“. თუმცა არის შემთვევები, რომელთა ფუნქციას ადრესატის დამცირება-დაკნინება წარმოადგენს: „ტრამპუშკ, სხვისი ლანძღვის გარეშე არ შეგიძლია საქმის კეთება?“

შეგვხვდა რამდენიმე საინტერესო კომპოზიტი და ფრთიანი გამონათქვამი. დასახელებულ ერთეულებში მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებიდან განსაკუთრებით ხშირია შედარება: „ნაგვისპარკოვნა“; „ეს რიჟა ვაჭარტურა”; „რაო ძმაჯეროები ვერ დაფრინავენო?“ „ვინ დააქარგა ასე ეს წვერ ულვაში ამ ბედალაგას“; „უყიდეთ ამას ბოტასები ჩუსტომანიას რო აწვება“; „ეხლა ეს ფოტო გააქრე ორგანიზაციის ფეიჯიდან თორე, რო დაგავლებ ხელს, გახვრეტილი კალოშივით გათრევ ორღობე-ორღობე, ჩქარა!!!!“„ ვინც არ აქტიურობს ჩემსავით გასუქდეს“; „საამაყო მამის სამარცხვინო შვილი“; „სათრევია ეს თვითმარქვია ბოღმის გოდორი“.

საყურადღებოა, სხვადასხვა სოციუმის წარმომადგენლები რამდენად აქცევენ ყურადღებას სოციალურ ქსელებში ენობრივი ნორმების დაცვას. თავისებურებებზე დაკვირვების შედეგად გამოვყავით ლინგვისტური მახასიათებლები. ყურადღება გავამახვილეთ მორფოლოგიურ-ორთოგრაფიულ, სინტაქსურსა და პუნქტუაციურ ასპექტზე. გამოიკვეთა შემდეგი ხასიათის დარღვევები:

პირისა და რიცხვის ნიშანთა მართლწერასთან დაკავშირებული: „ძალიან კარგი ადამიანი ხარ, მე **უყურებ თქვენ** ვიდეოებს“. „ზოდიაქოს ნიშნებს ომიაქ გამოცხადებული თურატომ“; „შვაში გაგიყოფ **დედასფიცავარ“;** „რამ გადაგრიათ ამას რომ ვწერ **ვტირივარ“**... „თოვლზე ჭკუა მეკეტება, **დედასფიცავარ;** „უცხოპლანეტელის თავი რომ **მაქ** ვერ ხედავ“...

ფუძეში ბგერის ჩართვა: „იხარეთ დაიდღეგრძელეთთქვენი მამიკოს გულის გასახარად და დედიკოს სულის საცხოვნებლად“...

სიტყვის მართლწერასთან დაკავშირებული: „**ხვთიური** სილამაზე“; „რამარტივია სულში ტკივილი ატარო, და რა ძნელია ტკივილი **სიტყვებათ** აქციო“; „ჩემო ტურფავ გოგოვ შენშემოგევლე ჩემო ლამაზო“; „მიყვარხარ უბრალოთ“; „კარქი ხარ, კარქი, მარიიი; „გაიხარე ჩემო მეგობარო ფულიც და გულიც შენზე მიჩუქნია“...

ზმნისწინთა/ ნაცვალსახელთ მართლწერასთან დაკავშირებული: „ულამაზესი ხარ, სულ ავღნიშნავ ამას“; „მაგათი სანქციები ვერაფერია მათ ქეყანას მიხედოს ყველამ წარმატება ჩვენს მთავრობას“

კომპოზიტების მართლწერასთან დაკვშირებული: „გაიზარდე დიდი გოგო **ცეკვა ცეკვით** გევლოს ცხოვრების წლები“; „ღვთიშობელმა და უფალმა დაგლოცოთ“; „რაღაცეებს ატრაკებ ნელნელა ტრამპჯან!“„ სხვადა სხვა ფერის აფრიკული ნაწნავები“...

დარღვეულია შემასმენლისა და ქვენდებარის რიცხვში შეთანხმება: „და ეს ყველამ იციან რა ცხოველია“... „მაგას იზავს ცოტა ხამი ბიჭები“; „მეგონა მარტო ჩემთან იჯდნენ უსაქმურები”; „რამდენიც არუნდა უთხრა საქციელები თუ სხვარამეს ამბობს სიტყვები არარაფერსნიშნავ“ს...

დასახელებულ მაგალიებს თუ დავაკვირდებით შევნიშნავთ, რომ ძალიან ხშირად კავშირი **რომ** ფიქსირდება არასრული სახით **რო.** დასტურდება ტავტოლოგიის მაგალითები: „დილით გაიღვიძე და იმედი **გაქვს** რომ სახეზე არარაფერი **გაქვს“...**

პუნქტუაციასთან დაკავშირებული დარღვევები: ჩვენ მიერ დასახელებული მაგალითები, რომლებიც შეუცვლელი სახით წარმოვადგნეთ, გვაძლევს შესაძლებლობას დავასკვნათ, რომ სავალალო მგდომარეობაა პუნქტუაციასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იგრძნობა ტიკტოკში, სადაც ხშირად სასვენი ნიშანი საერთოდ არ არის გამოყენებული, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მსგავსი მაგალითები არ დასტურდება ფეისბუქში. იქაც გვხვდება, მაგრამ შედარებით ნაკლები.

ტექსტებში გვხვდება დიალექტური მეტყველების ნიმუშები: „ვის აქვს სახლიდან გასასყიდი სწენკა დადევით“; „მაინც და მაინც უნდა შამამაკვდე ქალო?!!“ „ნენა, ჭკვიანი კაცი ყოველთვის რაცხას სწავლობს, ყოლიფერი მარტო აბდალმა იცის!“ „ღმერთმა ჯანმრთელები გაგიზარდოთ ეს ორი დათვის ბელი, ჯიმა“; „მარა, ბიჭო, პატარა რეკლამნაია პააუზა გოუკეთე, რა, ღმერთო დევტანჯე“...

ბარბარიზმები: „დედაა რა სიმპატიჩნობაა“; „მევასა ოოოლ“ (უნდა იყოს ლოოლ); „სიყვარულის პონჩიკო“; „ჰაბიბიი იახში მადამ ქორფა მადამ“; „აბა რა მალადეც“; „საღოოლ ხშირად ვერ ნახავ მსგავს სიამოვნებას“; „ბეზ ბაზარა გო“...

ამრიგად, თანამედროვე სამყაროში კულტურული, სოციალური და ტექნოლოგიური განვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რაც მრავალმხრივაა საინტერესო და საყურადღებო. საანალიზო მასალაზე დაკვირვეების შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოძიებულ მაგალითებში საკმაოდ ჭარბობს ნეგატიური კომენტარები და გამოხატულია: ირონია, ზიზღი, სიძულვილი, დაცინვა, მუქარა, უმეტესად სალანძღავი სიტყვებით, მიმართვებით, ხშირად შეიცავს ობსცენურ ლექსიკას. საკმაო რაოდენობით გვხვდება მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური და პუნქტუაციური ხასიათის დარღვევები, როგორიცაა: პირის ნიშანთა მართლწერა, ფუძეში ბგერის ჩართვა, რიცხვში შეთანხმება, კავშირის არასწორად გამოყენება, სასვენ ნიშანთან დაკავშირებული მართლწერა და სხვ.

ლიტერატურა:

1. კვაჭაძე, ლ. 1993, ქართული ენა, თბილისი, გამომცემლობა ,,რუბიკონი".
2. ფეიქრიშვილი, ჟ. 1992, ქართული ენის მორფოლოგია, ქუთაისი.
3. ღლონტი, ალ. 1988, ქართული ენის ლექსიკოლოგია, გამომცემლობა განათლება.
4. შანიძეა კ. (1973) ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
5. წიგნაძე, შ. 2019წ. სინონიმია, როგორც ემოციის გამოხატვისა და ექსპრესიის მიღწევის საშუალება თანამედროვეთა დისკურსში, თესაუ, სამეცნიერო შრომების კრებული, #1 (32).

Shorena Tsignadze
Iakob Gogebasvili State University
Telavi, Georgia
shorena.tsignadze@tesau.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.61

Psycho-Social and Linguistic Characteristics of Social Media

Abstract

Today, linguistic research is no longer limited to the study of language structure or history. Its interdisciplinary study, such as linguistics and psychology, social sciences, technologies, and cultural studies, combining various fields of science, aims to better understand language as a psychological, social, and cultural phenomenonThe study of language helps psychology better understand how individuals develop their thinking and communication skills, and what impact this has on their emotional and social state. Through language, a person has the ability to convey various emotions by choosing words that assist in expressing their inner state more effectively.

In social networks, individuals from different social circles, age groups, and psychological backgrounds interact and try to shape ideas and values. Social media impacts not only the psychological state of individuals but also their social relationships. Its influence is multifaceted and, at times, quite contradictory. Language is not only a tool for communication, but it also affects an individual's psychology, thinking, and social interactions.

The analysis of social networks allows us to explore psychological, social, cultural, and linguistic aspects. Based on our interests, we observed various social networks and the textual messages posted in the groups there. As a result of observing the peculiarities, we identified linguistic characteristics. It is noteworthy that the online space plays a significant role in terms of psychological, social, and linguistic aspects; it is important to observe how members of different social groups use language and how much attention they pay to maintaining linguistic norms in social networks.

At the moment, based on the material at hand, we can say that there is a noticeable prevalence of lexical units expressing irony and anger. In the case of irony, the focus is often placed on physical appearance and mental abilities, with barbarisms used in comparisons: "Why are this man's

eyebrows stretched from Nikofsi to Darubandi?" "You might as well wear a bandage, so that your stomach doesn't burst out from under that glamorous jumper." "What is this off-center singing? What's making this forest bear sing?" and so on..

There are a considerable number of morphological, orthographic and syntactic disorders. E.g.,: **რამ გადაგრიათ ამას რომ ვწერ ვტირივარ** [*ram gadagriat amas rom vwer vtirivar*] (What's wrong with you? I'm crying as I write this)... **უცხოპლანეტელის თავი რომ მაქ ვერ ხედავ?** [*uckhoplanetelis tavi rom maqv ver khedav?*] (Do you not see that I have the head of an alien?) **ეს ყველამ იციან რა ცხოველია** [*es kvelam itsian ra tskhovelia*] (Everyone knows what kind of beast this is)... **ვაი თქვენ თუ ლამაზი გქონდეთ ნანახი** [*vai tqven tu lamazi gqondet nanakhi*] (Shame on you if you've ever seen something beautiful)...

Our attention was drawn to the compounds and phraseologisms: **5 ანგელოზი მიწას მიაბარეს და შენ რა გამღერებს შენ შემოგიარე ზალაში.** [*khuti angelozi mitsashi tsevs da shen ra gamgherebs shen shemogiare zalashi*] (Five angels were laid to rest on the ground, and as for what will make you sing, I walked around your coffin in the hall.)

Among the figurative and expressive techniques, the use of comparison and epithet is especially frequent: **ეხლა ეს ფოტო გააქრე ორგანიზაციის ფეიჯიდან თორე, რო დაგავლებ ხელს, გახვრეტილი კალოშივით გათრევ ორღობე-ორღობე, ჩქარა!!!!** [*ekhla es photo gaaqre organizatsiis peidjidan tore, ro dagavleb khels, gakhvretili kaloshivit gatrev orghobe-orghobe, chqara*!!!] (Now delete this photo from the organization's page, or else, if I lay my hands on you, you'll be dragged through the fields like a torn boot. Hurry up!!!)

We encounter examples of dialectical speech: **ვის აქვს სახლიდან გასასყიდი სწენკა დადევით;** [*vis aqvs sakhlidan gasaskidi stenka dadevit*](Who has a stenka (furniture wall) to sell from their house? Put it on the webpage?), **მაინც და მაინც უნდა შამამაკვდე ქალო?!!** [*maints da maints unda shamamakvde qalo?!!*] Should I kill you, woman?

Thus, In the modern world, cultural, social, and technological development plays a significant role in language change, which is fascinating and noteworthy in many ways. a considerable number of morphological-orthographic and syntactic errors are encountered, such as agreement in number, incorrect use of conjunctions, etc.

Keywords: social networks, emotion, morphology, syntax, artistic techniques.